საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

30 წელი
ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობის დასაცავად

2024 წლიური ანგარიში

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: ნონა ქურდოვანიძე, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

სათავო ოფისი
თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ელფოსტა: gyla@gyla.ge
ვებგვერდი: www.gyla.ge

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2024

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2024
წლიური
ანგარიში

30 წელი
ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობის დასაცავად

სარჩევი

თავმჯდომარის მისასალმებელი სიტყვა	5
ვინ ვართ და რას ვაკეთებთ	8
მედიამონიტორინგი	9
სამართლებრივი დახმარება	11
ადამიანის უფლებების დაცვა	23
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა	29
ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები	36
გამოცემები	40
ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში	43
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები	48

ჩემთვის პატივია, წარმოგიდგინოთ და თქვენთან ერთად შევაჯამო საიას საქმიანობა მისი დაარსებიდან 30-ე წელს. საიას დაფუძნება და მისი ფუნქციონირება დაკავშირებულია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიასთან. 1993 წლიდან, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა დაიწყო, ახალგაზრდა იურისტები შეკავშირდნენ, რათა ამ პროცესს დახმარებოდნენ. ეს იყო პირველი ინტერესთა ჯგუფი, რომელიც შესაბამის აქტივობებში ჩაერთო და შემდეგ, 1994 წელს, ოფიციალურადაც დაფუძნდა. ამ 30 წლის განმავლობაში საიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის გაძლიერებისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებაში.

30 წლის განმავლობაში საიამ სამართლებრივი დახმარება 1 300 000-ზე მეტ პირს გაუწია. სწორედ საია იყო პირველი ორგანიზაცია, რომელმაც უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისები შექმნა მოქალაქეებისთვის, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გაეხადა მართლმსაჯულება. ორგანიზაცია დღემდე აგრძელებს ამ მიმართულებით საქმიანობას და ეხმარება ქალებს, ბავშვებს, ხანდაზმულებს, შშმ პირებს, დევნილებს, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულებს, აქტივისტებს, ჟურნალისტებს, წამების მსხვერპლებს და ყველა იმ პირს, ვისაც ჩვენი დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. საიას მიერ მოგებულმა არაერთმა პრეცედენტულმა საქმემ პოზიტიური მიმართულებით შეცვალა ადამიანების ცხოვრება. ამის პარალელურად, ორგანიზაცია აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხელისუფლების ყველა შტოს საქმიანობას და მის შესაბამისობას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან, ამზადებს კვლევებსა და ანგარიშებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ადვოკატირებს პოზიტიურ ცვლილებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

2024 წელი საიას არსებობის ისტორიაში ალბათ ყველაზე რთული წელია. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა - არასამთავრობო სექტორზე ხელისუფლების ღია თავდასხმებმა, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვის მზარდმა ტენდენციამ, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უკუსვლამ - მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა ორგანიზაციის შემდგომ საქმიანობას. 2024 წლის გაზაფხულზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, 2023 წლის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ხელახლა დააინიციირა და მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული სტილის კანონი. ეს კანონი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქვეყანას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანო-

ბას რეალურ საფრთხეს უქმნის. კანონის მიღების პერიოდში საიას ცენტრალურ ოფისზე ორჯერ განხორციელდა ვანდალური თავდასხმა, რაც ორკესტრირებული იყო „ქართული ოცნების“ დეპუტატის მიერ. სამწუხაროდ, ეს ფაქტები დღემდე გამოუძიებელია.

ამ სირთულეების მიუხედავად, ძალიან მაღალია საზოგადოების მხარდაჭერა საიას საქმიანობის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სირთულეების კვალდაკვალ იზრდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოორდინაცია და ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების გამკლავება. ამის კარგი მაგალითია ისიც, რომ საიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და მუშაობას განაგრძობს სამართლებრივი მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც 12 ორგანიზაციას აერთიანებს. ამ ჯგუფის საშუალებით ამოქმედდა ცხელი ხაზი აქციებზე დაკავებული აქტივისტებისთვის და შესაძლებელი გახდა მათი სამართლებრივი დახმარება, ასევე, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ ერთობლივი სტრატეგიული სამართალწარმოების დაწყება არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით როგორც საკონსტიტუციო სასამართლოში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. გვჯერა, რომ სამართლებრივი ბრძოლა შესაბამის შედეგებს მოიტანს.

2024 წელი საიასთვის გამორჩეული იყო იმითაც, რომ ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების პროცესში. არჩევნების დღეს ჩვენმა მისიამ დაფარა ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილი უბნების ნახევარზე მეტი და აღმოჩენილი დარღვევების შესახებ უამბო საზოგადოებას. მათ შორის, საიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი სამართლებრივი დავა ამომრჩეველთა უფლებების დასაცავად. ჩვენ, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დავიწყეთ ხმის ფარულობის უფლების დარღვევის გამო დავა სასამართლოებში და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. საქმე შეეხება ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებულ ყველა უბანზე ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევას, რაც ამომრჩეველთა ხმების 90%-ის ბათილობის საფუძველია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგები არაკონსტიტუციურია და არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს.

ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საზოგადოებას ნდობისთვის, ჟურნალისტებს - ჩვენი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანისთვის, ასევე, ჩვენს პარტნიორებსა და დონორებს, რომელთა მხარდაჭერის გარეშე ჩვენი საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა. განსაკუთრებული მადლობა საიას წევრებს, გამგეობის წევრებს და თანამშრომლებს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ორგანიზაციის 30-წლიანი ისტორია შექმნეს. მიუხედავად სირთულეებისა, მჯერა, საია გააგრძელებს საქმიანობას და ყოველთვის დარჩება ადამიანის უფლებების, სამართლის უზენაესობის, დემოკრატიული პრინციპების ერთგული და მცველი.

პატივისცემით,

ნონა ქურდოვანიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

საიას ოფისები და მათი დაარსების წლები

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი - 1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი - 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც 450-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ორგანიზაცია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ სამოქმედო არეალს თანდათან აფართოებს. დღეისთვის საია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობს. ის ემსახურება ქვეყანაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების დაცვას როგორც ინდივიდების, ისე ინსტიტუტების დონეზე.

შინაარსობრივ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- **სამართლებრივი დახმარების პროგრამა**
- **ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა**

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ამჯერად წარმოგიდგენთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2024 წლის ანგარიშს. საანგარიშო პერიოდი: 2023 წლის 1-ლი ნოემბერი – 2024 წლის 31 ოქტომბერი.

მედიამონიტორინგი

საია სოციალურ მედიაში

მედიამონიტორინგი

მედიაგაშუქება



სულ - 1942



1

სამართლებრივი დახმარება

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა საანგარიშო პერიოდში 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- **იურიდიული დახმარება**
- **სტრატეგიული სამართალწარმოება**
- **აღსრულების მექანიზმების გამოყენება**
- **სამართალწარმოების შედეგად გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებზე რეაგირება**

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება გაუწია 15 831 პირს, აქედან:



გაწეული კონსულტაციები ტიპების მიხედვით:



საანგარიშო პერიოდში საიამ ეროვნულ დონეზე 44 საქმე მოიგო:

მათ შორის:

სამართალდარღვევა
12
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება
1
შრომის უფლება
14
დისკრიმინაცია
1
ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობა
3
საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა
3
საოჯახო
2
დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა
1
საწარმოო ტრავმა
2
სხვა
5

ამჟამად საიას წარმოებაშია 362 საქმე:

სისხლის სამართლის საქმეები	79
ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	146
სამოქალაქო სამართლის საქმეები	47
სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში	32
სტრატეგიული სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში	58

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

წარმატებით დასრულებული საქმეები

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში მოიგო 3 საქმე.

საქმეზე „მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - საკონსტიტუციო სასამართლომ **სრულად დააკმაყოფილა საიას სარჩელი.**

საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - საკანონმდებლო ორგანომ **საღავო ნორმა საიას მოთხოვნის შესაბამისად შეცვალა.**

1 საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ **მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა.**

მათ შორის:

- **მარიამ გოგვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

2024 წლის 24 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საიას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც გამარტივებული წესით ნოტარიუსის თანამდებობაზე დაბრუნების უფლებას ანიჭებდა პირებს, რომლებმაც პირადი განცხადებით თანამდებობა დატოვეს 2008 წლის პირველი აპრილიდან 2010 წლის პირველ აპრილამდე პერიოდში.

- **საია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და მოითხოვა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა. ეს ნორმა საერთო სასამართლოებს ავალდებულებდა, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაეცათ მხარეთა პერსონალური მონაცემების (სახელის, გვარის) დაშტრიხვით, თუკი ამ საქმეზე მიღებული არ იქნებოდა ზემდგომი ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილება. საიას აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს მისი მიღებისთანავე. პარლამენტმა გაიზიარა ორგანიზაციის პოზიცია და სარჩელის შეტანიდან უმოკლეს ვადაში სადავო ნორმა შეიცვალა. შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტი, საჯარო ინფორმაციის სახით, მისი მიღებისთანავე გაიცემა.

ახალი საქმეები

- **გიორგი გოროშიძე და ლაშა მგელაძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ**

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული წესდება, რომლის მიხედვითაც, ასოცირებულ პროფესორთან შრომითი ხელშეკრულება იდება 7 წლის ვადით. საია ასევე დავობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის იმ მუხლთან დაკავშირებით, რომლითაც ასისტენტ-პროფესორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 ან 4 წლით.

- **ნატალია ფერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

ამ საქმეში დავის საგანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც კრძალავს ზეპირი შენიშვნის გამოცხადებას, თუკი ეს სანქცია წარსულში ერთხელ უკვე იყო გამოყენებული პირის მიმართ და შენიშვნის გამოცხადებიდან გასულია ერთ წელზე მეტი. ამ ვადის გასვლის მიუხედავად, თუკი ადამიანი კვლავაც ჩაიდენს მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევას, მოსამართლეს სადავო ნორმა შენიშვნის ხელახლა გამოყენებას უკრძალავს.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

წარმატებით დასრულებული საქმეები

საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოიგო 4 საქმე.

მათ შორის:

- **ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (ქურდოვანიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, ბაღაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ)**

2024 წლის 7 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2019 წლის 20-21 ივნისს ანტისაოკუპაციო აქციის დროს დაზარალებული მოქალაქეების საჩივრებზე (26 პირის საქმე), სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამრღვევად ცნო. სასამართლომ დაადგინა ამ კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა და სახელმწიფოს, მომჩივანთა სასარგებლოდ, ჯამში, 153,600 ევროს გადახდა დააკისრა. 2024 წლის 23 სექტემბერს სასამართლოს დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა მომჩივანთა ადვოკატების მოთხოვნა და საქმე განსახილველად დიდ პალატას გადასცა.

- **მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ**

საქმე ეხება N18 პენიტენციურ დაწესებულებაში ზაზა მამულაშვილის მიმართ ჩადენილ განგრძობად ფსიქოლოგიურ ზეწოლას და შევიწროებას. მას ეზღუდებოდა პატიმრისთვის მინიჭებული უფლებები, ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. მომჩივანს სასტიკად სცემეს გონების დაკარგვამდე და მიაყენეს დაზიანებები წელისა და სხეულის სხვადასხვა არეში. შედეგად, მას დღემდე უჭირს გადაადგილება და განიცდის ძლიერ ტკივილებს. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სახელმწიფომ არ აწარმოვა ეფექტიანი გამოძიება.

სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა პროცედურულ და მატერიალურ ნაწილში.

- **შპს „ბექანასი“ საქართველოს წინააღმდეგ**

შპს „ბექანასი”, რომელიც ფლობდა სახელმწიფოს მიერ გაცემულ ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიას, გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტმა დააჯარიმა ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ 1მ^3 ინერტული მასალის მოპოვებისთვის. სასამართლომ შპს „ბექანასი“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. მას სახდელის სახედ განესაზღვრა 1000-ლარიანი ჯარიმის გადახდა, ასევე დაეკისრა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 201 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, კომპანიას ჩამოართვეს 54,650 აშშ დოლარის ღირებულების ტრაქტორი, როგორც სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს დაავალა კომპანიისთვის ჩამორთმეული ტრაქტორის დაბრუნება კონფისკაციამდე არსებული მდგომარეობით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, დააკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

ახალი საქმეები

- **მილაძე საქართველოს წინააღმდეგ**

საჩივარი შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას (გამოხატვის თავისუფლება), კონკრეტულად კი, სოციალურ ქსელ „ტიკ-ტოკზე“ ატვირთული ვიდეოს შინაარსის გამო, პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობას და მის დაჯარიმებას. საქმეში არსებული გარემოებების მიხედვით, ირაკლი მილაძემ „ტიკ-ტოკის“ პლატფორმაზე ატვირთა ვიდეო ქალაქში არსებულ სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით და უხეშად მოიხსენია, ზოგადად, ის სამართალდამცავები, რომლებიც კანონს არღვევენ, ხოლო სახელმწიფო მოხელეთა მსგავს ქმედებაზე შემწყნარებლობას იჩენს.

- **გაბიტაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**

დავით გაბიტაშვილი 2015 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე მანქანით გადაადგილდებოდა, რა დროსაც, სტიქიის შედეგად, გარდაიცვალა. საჩივარში ხაზგასმულია, რომ სტიქიის დროს სახელმწიფომ გამოიჩინა დაუდევრობა: ერთი მხრივ, ვერ დაიცვა მოსახლეობა სტიქიური უბედურებისგან, როგორც რისკების წინასწარი მონიტორინგით, ისე საზოგადოების დროული გაფრთხილებით, ხოლო, მეორე მხრივ, არ ჩაატარა სათანადო ღონისძიებები სტიქიის დამანგრეველი შედეგების შესამცირებლად, რაც საგანგებო სიტუაციის არასათანადოდ მართვაში გამოიხატა.

მე-9 წესით გაგზავნილი კომუნიკაციები

საიას ჩართულობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში გაიგზავნა 6 ალტერნატიული ანგარიში:

- **2024.01.24 – TISNTASABAZE GROUP - სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულები**
- **2024.02.23 – TSINTSABADZE GROUP (OCHIGAVA) - ოჩიგავას საქმესთან მიმართებით სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და იუსტიციის სამინისტროს გულგრილობა**
- **2024.08.01 – A. D V GEORGIA - გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხები**
- **2024.08.01 – IDENTOBA GROUP - დისკრიმინაციის საფუძველზე ადამიანთა დევნა და შევიწროება**
- **2024.10.11 – BEQANASI - შპს „ბექანასის“ საქმესთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ საერთაშორისო ვალდებულების თავიდან არიდება**
- **2024.10.22 – TKHELIDZE GROUP - ფემიციდსა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საქმეები**

„რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამოყენებული მექანიზმები

2024 წლის 3 აპრილს „ქართულმა ოცნებამ“, 2023 წლის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ხელახლა წარადგინა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რასაც ქვეყანაში უწყვეტი, მასობრივი, მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა. კანონი ითვალისწინებს დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. კანონის განახლებული ვერსიის მიხედვით, ასეთი ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად“ და შესაბამისი დეკლარაციები წარადგინონ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის.

საიამ, 122 არასამთავრობო და მედია ორგანიზაციასთან ერთად, 2024 წლის ივლისში ამ კანონის წინააღმდეგ **საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა.**

2024 წლის ოქტომბერში კი, **კანონი და მის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგები** გასაჩივრდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში:

16 მედიაორგანიზაციის

120 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და

4 ფიზიკური პირის სახელით

სამართლებრივი დახმარების ქსელი

საიას ხელმძღვანელობით შეიქმნა და დღემდე აგრძელებს ფუნქციონირებას უფასო სამართლებრივი დახმარების ქსელი, რომელიც 12 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. **ქსელის ჩამოყალიბების მიზანი იყო** 2024 წლის აპრილ-ივლისის პერიოდში **„რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებული, დაზარალებული და დაჯარიმებული პირების უფლებების დაცვა.**

ქსელის აღვოკატებმა სამართლებრივი დახმარება გაუწიეს 400-ზე მეტ აღამიანს.

დაზარალებულის სტატუსი მოიპოვა 41-მა პირმა, რომლებმაც მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დროს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები მიიღეს.

2

ადამიანის უფლებების დაცვა

პროგრამის პრიორიტეტები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე. საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობდა:

- **უფლებების სადარაჯოზე (WATCHDOG ფუნქცია)**
- **ანალიტიკური საქმიანობა**
- **საერთაშორისო ადვოკატირება**
- **იურიდიული განათლების ხელშეწყობა**

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში არსებული გამოწვევების, მიღწევებისა და იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც საია პროექტულად თუ მოხალისეობრივად ახორციელებდა.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწრაფი რეაგირების მიზნით გამოქვეყნდა 36 განცხადება/შეფასება ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ასევე მოიცავდა აქციების მონიტორინგს.

ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში

პროგრამის იურისტებმა მოამზადეს:

- **სიღრმისეული სამართლებრივი კვლევები**
- **ანგარიშები**
- **საადვოკაციო დოკუმენტი საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე**

შესწავლილი თემები მოიცავდა საანგარიშო პერიოდში საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის მონიტორინგს. მათ შორის იყო შემდეგი საკითხები:

- შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება
- გაერთიანების თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობა
- სამართლიანი სასამართლოს უფლება (სასამართლოების მონიტორინგი სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შეფასება)
- გარემოსდაცვითი უფლებები
- ადამიანის უფლებების სტრატეგიის მონიტორინგი

პროგრამის ანალიტიკოსებმა მოამზადეს:

გარდა ჩამოთვლილისა, მომზადდა **საინფორმაციო ვიდეორგოლი** გენდერულად მოტივირებული ძალადობის მსხვერპლთა უფლებების თაობაზე.

საერთაშორისო აღვოკატირების მიმართულებით

პროგრამის ფარგლებში მომზადდა:

6 წერილობითი მოსაზრება გაეროს 5 სპეციალური მომხსენებლისა და ევროპის საბჭოს აღამიანის უფლებების კომისრისთვის

3 ალტერნატიული ანგარიში გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებისთვის (CESCR, CRC)

პროგრამის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს **6 საერთაშორისო კონფერენციასა თუ სესიაში,** რომლებიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის (ბელგიაში), ეუთოს (პოლონეთსა და ჩრდ. მაკედონიაში), ევროპის საბჭოს (უნგრეთში), ასევე, ორგანიზაციების - ევროპის იმპლემენტაციის ქსელის (EIN) (გერმანიაში), ილგა ევროპის (ბელგიაში) და ევროპის მედია სამართლის ინსტიტუტის (ERA EMR) (გერმანიაში) მიერ.

სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების მექანიზმების გაუმჯობესების, იურიდიული განათლების ხელშეწყობისა და მომავალი თაობის უფლებადამცველთა მომზადების მიზნით:

გამოქვეყნდა 2 სახელმძღვანელო

გადამზადდა 40 სტუდენტი ზამთრის და ზაფხულის სკოლების ფარგლებში

გადამზადდა 10 სტუდენტი სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში

გამოქვეყნდა 5 სტუდენტური ბლოგი



3

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

პროგრამის პრიორიტეტები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის მიზანია გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ხელშეწყობა ქვეყანაში.

პროგრამა რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით მუშაობს:

- **მართლმსაჯულების სისტემა**
- **არჩევნები**
- **საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესება**
- **ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება**
- **ეფექტიანი თვითმმართველობის ხელშეწყობა**
- **ევროინტეგრაცია**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის საქმიანობა მოიცავდა სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებას, ასევე, საინფორმაციო კამპანიებს, შეხვედრებს საერთაშორისო/ადგილობრივ პარტნიორებთან და მოსახლეობასთან.

მართლმსაჯულების მიმართულებით

საიამ გამოაქვეყნა:

2 კვლევა

17 განცხადება
(აქედან 14 - კოალიციურად,
ხოლო 3 - დამოუკიდებლად)

2 ბლოგი

8 ინფოგრაფიკა

საანგარიშო პერიოდში საია თავმჯდომარეობდა კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებული კამპანია - **მომზადდა 8 ვიდეო-ორგოლი და 4 პოსტერი.**

ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში აკვირდებოდა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს.

წინასაარჩევნო პერიოდში დაიწერა

12 საჩივარი. აქედან **6** შემთხვევა ეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მოთხოვნათა დარღვევას, ხოლო **6** - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

არჩევნების დღეს **საიამ აღრიცხა 652 ინციდენტი**.

48 საჩივარი დაიწერა საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე.

195 საჩივარი დაიწერა საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე.

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საიამ დაიწყო ფართომასშტაბიანი დავა არჩევნებზე ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევაზე.

გარდა ამისა, გამოქვეყნდა:

საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით:

- მომზადდა 3 კვლევა
- გამოქვეყნდა 2 ბლოგი
- ჩატარდა კვლევის საჯარო პრეზენტაცია

აღგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში ჩატარდა:

- 6 საჯარო შეხვედრა
- 13 ტრენინგი
- 1 საჯარო პრეზენტაცია

მოგზაღღა:

1 გზამკვლევი

1 ვიდეოგზამკვლევი

14 ინფოგრაფიკა

6 მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზეადამხედველო საქმიანობის მონიტორინგის გაერთიანებული ანგარიში, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება

5 საკრებულოს **21** კომისიას ორგანიზაცია დაეხმარა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებაში

ვიზიტები, შეხვედრები, პრეზენტაციები

28 თებერვალი, აშშ-ის ელჩის, რობინ ლ. დანიგანის ვიზიტი საიას ოფისში

26 ოქტომბერი, ელჩების ვიზიტი საიას საარჩევნო მისიის სათავო ოფისში

19 ივნისი, ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის ვიზიტი საიას ოფისში

20-21 ნოემბერი, ევროპის იმპლემენტაციის ქსელის (EIN) მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელშიც საიას პროგრამის დირექტორი მონაწილეობდა

აშშ-ის ელჩის, რობინ ლ. დანიგანის ვიზიტი საიას აჭარის ფილიალში

29-30 ივლისი, ტრენინგი სამოქალაქო სექტორისთვის „საკრებულოების საზედამხედველო ფუნქციები და მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები“

24 ოქტომბერი, საიას საარჩევნო გუნდის მიერ საზოგადოებისთვის წინასაარჩევნო გარემოს საბოლოო შეფასების წარდგენა

8 ოქტომბერი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია

საიას გუნდის შეკრება საარჩევნო მისიის დაგეგმვასთან დაკავშირებით

სამოქალაქო უსაფრთხოების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ეზრა ზეიას შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან

საიას იურიდიული დახმარების ცენტრის თანაშემწეების გაცილება

საიას გუნდის სტრატეგიული შეკრება არჩევნებზე ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებული დავის თაობაზე

საზაფხულო სკოლა - გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები და საქართველო

2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია

ზამთრის სკოლა - გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები

იმიტირებული სასამართლო პროცესი

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა

შეხვედრა რეგიონულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით

2 ივლისი, ქუთაისი, დისკუსია მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე

„ერთი თვე სასამართლო მონიტორად" - შეხვედრა სტუდენტებსა და თანაშემწეებთან

საიას იურისტების შეხვედრა შშმ პირებთან მათ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ

10 ოქტომბერი, საპარლამენტო კონტროლის საკითხებზე კვლევების პრეზენტაცია

საიას აჭარის ფილიალის იურისტების შეხვედრა მოსახლეობასთან

საიას ქუთაისის ფილილის იურისტების შეხვედრა მოსახლეობასთან

გამოცემები

საქართველო 2023 წელს

სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის ცილისწამების საქმეებთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ

ბაიკერები რუსული კანონის წინააღმდეგ

საზღვარგარეთ ხმის მიცემა



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გზამკვლევი

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის მონიტორინგის ანგარიში



ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ



დაკავებულთა უფლებების დაცვა



2024 წლის საპარლამენტო არჩევნების I შუალედური ანგარიში

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების II შუალედური ანგარიში



2024 წლის საპარლამენტო არჩევნების III შუალედური ანგარიში

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის შედარებითი კვლევა

სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა



სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში #17

გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარება



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #12

ნდობის ჯგუფის ისტორიული და ორგანიზაციული მიმოხილვა

რეკომენდაციები სამართალდამცავებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად

საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ქართული გამოცდილება და პერსპექტივები



სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში #18

საკრებულოს მიერ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაზე ზედამხედველობის გზამკვლევი



უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესის შეფასება

საპარლამენტო ზედამხედველობის გზამკვლევი

საპარლამენტო ოპოზიციის უფლებები და პასუხისმგებლობა

4

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

ფონდების მოძიება და ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის (მოცემულია საგრანტო შემოსავლები იმ პროექტებიდან, რომელთა იმპლემენტაციაც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში დაიწყო), შემოწირულებისა და საწევროს სახით, ჯამში, 8,056,415.71 ლარი მიიღო. ეს თანხა, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში საიაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 68 თანამშრომელი, მათ შორის, 19 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,108,843.75 ლარი. ერთჯერად მომსახურებაზე ჰონორარი გაიცა 243 ფიზიკურ პირზე - სულ 434,317,63 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 493,275.18 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 40,400.73 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შეძენილია 48,395.92 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 190,191.89 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 162,169.49 ლარი, ოფისების ქირამ - 63,656.44 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 30,725.74 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 95,008.66 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 3,632,706.19 ლარი, რომელიც, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:


EWMI (USAID RULE OF LAW PROGRAM) 487,997.94
BFDW 480,780.61
EUROPEAN UNION 435,048.31
SRT (SIGRID RAUSING TRUST) 384,012.48
USAID 313,064.92
FCDO (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) 200,240.98
GIZ 157,982.89
EED (EUROPEAN ENDOWMENT FOR DEMOCRACY) 154,911.08
NE (ნიდერლანდების საელჩო საქართველოში) 147,886.28
TETRA TECH ARD (USAID LOCAL GOVERNANCE PROGRAM) 136,569.91
EWMI (USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM) 135,289.04
IREX (USAID MEDIA PROGRAM) 105,454.34
EUROPE FOUNDATION (EPF) 65,188.90
US DEPARTMENT OF STATE 62,124.23
EMBASSY OF THE CZECH REPUBLIC 56,333.00
NORE (ნორვეგიის საელჩო საქართველოში) 53,731.50
IMS (INTERNATIONAL MEDIA SUPPORT) 49,971.30
UNAG (UN ASSOCIATION OF GEORGIA) 46,322.45
FREEDOM HOUSE (FH) 46,302.82
OSGF 45,972.30
EHRAC 35,655.38
SIDA (SWEDISH INTERN. DEVELOPMENT COOPERATION AGENCY) 15,327.61
IPHR (საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის) 13,829.64
CSRDG (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი) 12,214.46
UNDP 9,524.98
სხვადასხვა 968.84

საანგარიშო პერიოდში საიამ სხვადასხვა დონორ ორგანიზაციაში წარსადგენად 31 საპროექტო განაცხადი მოამზადა. აქედან:



2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საია 18 მიმდინარე პროექტს ახორციელებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2024 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარე

თამარ ონიანი - თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ანთაძე

რევაზ აჭარაძე

ლაშა ბექიშვილი

მარიამ გოგოსაშვილი

გიორგი გოცირიძე

მერი დაუშვილი

გვანცა ესაკია

შორენა ლოლაძე

დავით ლომთაძე

ანდრანიკ მინასიანი

ვასილ ჟიჟიაშვილი

სულხან სალაძე

სალომე საღარაძე

ნიკოლოზ სიმონიშვილი

გიორგი ტაბატაძე

თამთა წვერაიძე

თამარ ხუბულური

დავით ჯავახიშვილი

მიხეილ ჯახუა

დირექტორთა საბჭო

ნონა ქურდოვანიძე - თავმჯდომარე

შორენა ლოლაძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი

თამარ ონიანი - ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის დირექტორი

ნანუკა ყრუაშვილი - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი

სარევიზიო კომისია

გიორგი აბულაძე

მალხაზ ვეფხვაძე

თამარ სარაჯიშვილი

ლაშა ჩალაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - თამარ წულუკიძე

ქუთაისის ფილიალი - დარეჯან სალდაძე

რუსთავის ოფისი - ნათია ქოქიაშვილი

გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი

თელავის ოფისი - მარეხ მგალობლიშვილი

ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე

ზუგდიდის ოფისი - კესარია ჩახაია